უდიდესი მნიშვნელობა მრეწველობისა, როგორც მოპოვების, ისე გადამუშავების, ძნელათ თუ შეიძლება ითქვას გადაჭარბებული გადაჭარბებულათ შეფასებული ისეთ ეკონომიურ მცირე განვითარებული მხარისათვისაც კი, როგორსაც წარმოადგენს საქართველო. ყველა საკითხი, რომელსაც აქვს დამოკიდებულება მხარის ეკონომიურ მდგომარეობასთან, სამეურნეო სურსათ-სანოვაგისა, ფინანსებისა, საგარეო ვაჭრობისა და სხვა, უკანასკნელ რიგში მრეწველობის მდგომარეობით განისაზღვრებიან. ცხადია რომ, ჩვენ მიერ წამოყენებული საკითხის ყოველმხრივ გაშუქებისათვის, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვარკვიოთ მრეწველობის მდგომარეობა საქართველოში. სრულიად სამართლიანათ ამტკიცებენ, რომ საწყაო სათობო მაღლა აყენებს მრეწველობის. მერე როგორ მდგომარეობაშია ჩვენში საკითხი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისა?

თბილი საწვავი.

საქართველოში ხელი აქვს დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ შემთხვევაში იგი სრულიად დამოკიდებულია ტყეზე, რომელიც საკმაოდ მოიპოვება ჩვენში ნაწილობრივ საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების გამოცხადებამდე უკანასკნელ დრომდე.

უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მომავალში ამ დარგში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ [illegible] ნავთის ტრანსპორტი არა თუ მარტო საქართველოს მრეწველობა, არამედ რკინის გზაც, სადაც რესპუბლიკის [illegible] (შეიძლება ვაჭრობა) და სხვა, ასეთნაირე ნავთის ამოწურვა კლებულობს, ძველი მარაგი ილევა და მისი გამო საქართველოს მრეწველობა, რომელიც შეიძლება ჩამოდგეს უკანასკნელ რიგში, წინაშე ფრიად სერიოზული და საგანგებო საკითხისა, შეიძლება ჩავარდეს დიდს გაჭირვებაში.

მით უფრო სერიოზული მნიშვნელობა ეძლევა ტყიბულის ქვა ნახშირს, რომელმაც უნდა დაიჭიროს ბაქოს ნავთის დაკარგული ადგილი.

ქვა ნახშირი. საჭიროთ უნდა ჩაითვალოს, რომ ქვა ნახშირის გამოსავალი ცოტაა და ახლო მომავალში არ არის სერიოზული საფუძველი მოველოდეთ მის გაუმჯობესებას.

[illegible] ნახშირის გამოსავალი ტყიბულში (ფუთობით): იანვარში 952,143, თებერვალში 882,08, მარტში, 463,320, აპრილში 260,780, მაისში 368,085 ივნისში 327,605.

[illegible] თვეში უფრო სისწრაფით ხდება [illegible] დაცემა. 18 ივლისს ციფრმა ღირს 4 400 ფუ, 21 ივლისს ციფრი იწევს 14,705 ფუ, რომ 22 ივლისს ხელახლა დაეცეს 5,900 ფუ.

ტყიბულის მუშების [illegible] ურიცხვათ იგივეს, რომ ამ საჭიროო მოვლენების ყველაზე ნაკლები პასუხისმგებლობა [illegible]. [illegible] ვერ გაატარეს [illegible] სურსათ-სანოვაგის, ისე ფულის მხრივ. საჭიროა ... ღირს, რომ უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში მათ არ მიუღიათ ჯამაგირი და სხვა მწირეთ ვალებს დაგროვება მათი ფული 300 მილიონ მანეთზე მეტი [illegible] და თავისი ოჯახის [illegible] 2 ნ.ხ. 3 გირვანქამდე დღეში და იმასაც არა რეგულარულად და არამედ ხანგამოშვებით. და ბოლოს უკანასკნელ პირობებში ტყიბულის მოლოდინი დაახლოებით 1200-1500 მუშამდე, რომელთა ყოველ ერთი დღით არ შეუწყვეტელი მუშაობა, არ იზოლება გამოწვეულ ... დამსხვრეული მეტები ... ზედ ემატება ის გარემოება, რომ ძველ [illegible] ჩვეულებით უქონლა ტყიბულის ქვანახშირის [illegible], ვალუტი ზომა, რასაც [illegible] თითქმის ხანგრძლივ [illegible]. უფრო მეტი შეზღუდულის ჩამოქვეითება და მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი შავი ქვის წარმოების სხვა დარგებიდან განსაკუთრებით მომეტებულ სფეროში მაღლა ქვეყნის [illegible].

შავი-ქვა.

წარმოების სხვა დარგებიდან შედარებით შავი-ქვის მრეწველობაზედ, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ საქართველოს ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს, როგორც აზერბაიჯანს თავისი ნავთით. მართალია, მოპოვებულ შავ ქვას არავითარი გამოყენება არა აქვს შინით, მაგრამ, რადგან იგი არის საგანი და საბლეთ ევროპაში გასატანი, იგი წარმოადგენს დიდს ღირებულობას, რომელზედაც დიდ მოთხოვნილებას აყენებს მთელ ქვეყნად ფართოთ განვითარებული ლითონის მრეწველობა.

მრეწველობათა გაერთიანების საკითხის გამო ს. ს. მ. უ. ს. სტატისტიკურ-ეკონომიურ განყოფილების მიერ იყო გამოკვლეული [illegible] შავი ქვის მრეწველობა, [illegible] მასალებიც ყოველმხრივ აშუქებენ შავი-ქვის მდგომარეობას, როგორც მისი გამოსავალის და გატანის მხრივ, აგრეთვე მის მომავალ ბედს.

რომ შევადაროთ რაოდენობა შავი-ქვის მსოფლიო ხმარებისა და რაოდენობა საქართველოდან გაზიდულისა, აშკარად თვალსაჩინო ხდება ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც წილად ხვდება ჭიათურის რაიონს.

შემდეგი ცხრილი ნათლად ხდის ამ მოვლენას:

მსოფლიო ხმარების რაოდენობა, საქართველოდან გატანილი

წლები	მილიონ ფუთობ.	მილიონ ფუთობ.	პროც. მსოფლიო ხმარებ.
1900	84	29	34 5
1901	72	22	30 5
1902	81	31	38,3
1903	67	29	43,3
1904	69	33	48,0
1905	91	21	23 1
1906	101	31	30,6
1907	131	34	25 9
1908	98	25	25 5
1909	95	35	36 9
1910	122	40	32 8
1911	127	38	30,0
1912	148	566	37,9
სულ	1286	424	32,97

13 წლის განმავლობაში საშუალოთ საქართველოს წილათ ხვდება თითქმის ერთი მესამედი მთელი მსოფლიოში მოხმარებული შავი ქვისა.

საქართველოდან გატანილი შავი ქვის რაოდენობა ხუთი წლობით:

წლები:	მილიონი გატანილის საერთო ჯამი:	ფუთები საშუალო წლიწადში:
1891—95	41,1	8,2
1896—90	92,5	18 5
1901—05	136 5	27,3
1906—10	163,8	32,3
1911—15	204,2	40 8
1916—20	30,4	6,0
1891—1920	668,5	22,28

როგორც სჩანს ამ ცნობებიდან, მე 20 საუკუნეში, იმიდგან, შავი ქვის მოწოდების საქმეში საქართველოს ერთ შესანიშნავი ადგილი მთელ მსოფლიოში და უეჭველი ნიშნებია ამ საქმის უფრო გაფართოებისა და განვითარებისა. მხოლოდ ომმა და მის მიერ გამოწვეულმა შავ ზღვის დაკეტვამ შეაჩერა ეს განვითარება. გაზიდვას შეუჩერებელი ზრდა მივ და უმაღლეს ციფრამდე 1911—1915 წ. წ, თუმცა მისი უკანასკნელი წლებიდან ხვავრი ცუდი ომის ხანა იყო. ი. თითქმის სრულიად შეწყდა გატანა. უმთავრესი მომხმარებელი ჭიათურის შავ ქვისა ათი წლის განმავლობაში 1905—1914 წ. იყვნენ გერმანია, დიდ ბრიტანეთი და ბელგია.

სხვა და სხვა ქვეყნებში გატანილი ჭიათურის შავი ქვა 1905 წლიდან 1914 წლამდე.

მილიონ ფუთებით პროცენ.

გერმანია	ინგლისი	ბელგია	ა. შ. შ.	რუსეთი	სხვა ქვეყ.	სულ
165 8	88 9	54 3	21,9	19,1	18 2	3892
43 %	23 %	14 %	6 %	5 %	9 %	100 %

რამდენად იყო დაპყრობილი ბაზრები ამ სამი პირველი ქვეყნის საქართველოს შავი-ქვით, გვიჩვენებს შემდეგი ტაბლიცა.

საერთოთ შეტანილ შავი-ქვის რაოდენობასთან შედარებით ჭიათურის შავი ქვის რამდენი პროცენტი შეზიდავთ სხვ. დასხვა ქვეყნებში:

წლები	დიდი ბრიტანეთი	გერმანია	ბელგია
1900	43,75	77,95	25 89
1901	41,66	60 87	30 26
1902	57,14	88,18	44 44
1903	50,00	71,94	56 99
1904	46,15	78 62	54,84
1905	26 66	54 60	23 66
1906	38 09	68 29	21,98
1907	37 13	58 61	5 41
1908	33 33	51 69	56 45
1909	4 ,86	70,59	85 42
1910	30,00	58,61	94 83
1911	36,33	69,97	25,97
19 2	50,00	60,80	48,16

ერთად-ერთი მეტოქე საქართველოსი შავი ქვის მოპოვებაში და გატანაში იყო ინდოეთი, რომლის მოპოვება და გატანა ვითარდებოდა საქართველოსაზე უფრო სწრაფათაც კი.

გატანა შავი ქვისა საქართველოდან და ინდოეთიდგან 1900 წლიდან 1913 წლამდე მილიონ ფუთებით.

წლები	საქართველოდგან	ინდოეთიდგან
1900	29	8
1901	22	8
1902	31	9
1903	29	11
1904	33	8
1905	21	18
1906	31	19
1907	34	40
1908	25	27
1909	36	28
1910	40	36
1911	38	34
1912	56	38
1913	66	48
სულ.	490	333

(შემდეგი იქნება)

მ. ტოროშელიძე.

პროვინციაში.

პანკისის რაიონი
(თიანეთის მაზრა).

მდგომარეობა, რომელიც შექმნილია პანკისის რაიონში, მთელი თავისი სირთულით უკარნახებს მთავრობას, რათა ამ რაიონში დაინტერესებულ ამბის ლიკვიდაციის მოსახდენად მიიღოს ენერგიული ზომები. პირველი, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 4 თვეზე მეტია, რაც გადატრიალება მოხდა და ამ რაიონში ჯერაც არ მოწყობილა მილიცია და რევკომი. ეს რაიონი სწავლით ძლიერ ჩამორჩენილია, ამიტომაც აქ ღრმად აქვს ფესვი გადგმული ყაჩაღობას, ავაზაკობას—ბანდიტიზმს. არც ერთი მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი, ამ რაიონში ჯერაც არ არის გატარებული. საქმეები იგევ ძველებურად კეთდება. პარტიული მუშაობა ძლიერ სუსტად მიმდინარეობს, მართალია, არსებობენ კომიჩეიკები, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. რევკომი მთელ თავის მოღვაწეობას ადმინისტრატიულ საქმეებს ანდომებს. მაგრამ ყველაზე უბედურება ისაა, რომ აქ ღრმად აქვს ფესვი გადგმული ნაციონალურ შუღლს. აქ ცხოვრობს თუში, ფშავი, ოსი, ქისტი, ხევსური და სხვა. ამ მცხოვრებთა შორის მუდმივი მტრობა და სისხლის ღვრაა. სარგებლობენ ამით ადგილობრივ მენშევიკების ქომები და ეწევიან საზიზღარ პროვოკაციას ჩვენს წინააღმდეგ. ამ რაიონში არ მოიპოვება არავითარი კულტურული წრეები. ვინაიდან ძალების ნაკლულოვანება. მთელ რაიონში ერთი დაბალი სოფლის სასწავლებელი არის. გადატრიალების შემდეგ ამ რაიონში, შეიძლება ითქვას, რომ არავითარი კულტურული მუშაობა არ წარმოებულა. აქ არც ერთხელ არ მოწყობილა კონცერტ-მიტინგი. ამიტომაც აქაურ გლეხს, როცა ის უბრალო გლეხი ნაკლებზე, მენშევიკების დროინდელი მიმოწერილი ფულით, მენშევიკებმა თავისი ეგზეკუციებით სულ გაგვანადგურეს. ეხლა ვცდილობთ თავისუფლებას, მისმა ლომპარობამ განათლება და ამიტომაც ჩვენ მოვითხოვთ, რათა მიღებული იქმნას ენერგიული ზომები ჩვენში რაიონს ამ სამი ღრმა ბლად. ამ რაიონში, რომ მდგომარეობა გამოკეთდეს, საჭიროა შემდეგი: 1) აუცილებლად უნდა გაიგზავნოს ორი-სამი პარტიული ამხ. 2) უნდა გაიგზავნოს უპარტო კულტურული ძალები. 3) სასწრაფო რიგში უნდა მოეწყოს მილიცია.

ბაზურელი მოხიკო.

ქ. ახალ სენაკი.

სენაკის მაზრა შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციონურ მოძრაობის ერთ ერთ კუთხეთ. თვით ხალხში სცხოვრობს ეს რევოლუციონური სული—რევოლუციონური მოძრაობაში არამც თუ მამაკაცები, არამედ დედაკაცებიც კი განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ. მართალია ჯერ კიდევ მუშაობენ პროვოკატორები, ავრცელებენ სხვა და სხვა ხმებს, მაგრამ ამაოდ, აქაური ქალები ყურს არ უგდებენ პროვოკაციას, რის გამო ჩვენ გაქანდა ს შეიძლება რამდენიმე ჯერ მოვიწვიეთ საერთო ქალთა კრებები და ავირჩიეთ დელეგატები. და ამ ქამად კი ყოველ კვირაში ერთხელ ხდება დელეგატთა კრება, სადაც იმართება მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე, ბროშიურების კითხვა და ლექციები სხვა და სხვა მეცნიერულ დარგებიდან. აქვე ლექციას ეკითხის ერთ ერთი ლექცია წაკითხული იქმნა ქავთარაძის მიერ დელეგატთა კრებაზე 16 ივლისს 1921 წ.

კრება შესდგა ადგილობრივ პარტკომის ქალთა განყოფილებაში. თავმჯდომარეობდა ა. მამულაშვილი, მდივნობდა გოგვაძე. გარდა დელეგატების კრებას დაესწრნენ სხვა დაინტერესებული ქალებიც.

კრების წესრიგით ლექცია თემაზე „ჰიგიენა“ ქ-მა ა. ქავთარაძემ, რომელმაც უბრალოდ ახსნა თუ რა არის „ჰიგიენა“ და შემდეგ გადავიდა სხვა და სხვა ენის გავამდებ თავის ბუნებზე. მან აღნიშნა რა და რა სენები გადადის ჰაერის საშუალებით და რა სენები გადადიან საჭმელ-სასმელის საშუალებით. ილაპარაკა თუ როგორი სისუფთავე უნდა დაიცვას ადამიანმა, რომ ჯანმრთელობა შეინარჩუნოს შემდეგ ამისა განსაკუთრებით ახსნა ხოლერის თვისებები და რა არის საჭირო მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლექტორმა განმარტა თუ რა არის აუცილებელი ადამიანის არსებობისთვის და როგორი უნდა ეს ყველაფერი. მაგ. ჩვენში, საქართველოში არ იხმარება ისეთი სოქლი როგორც ცივ ქვეყნებში—რუსეთში, სადაც მეტწილად ჭამენ საჭმლებს ხაერობენ. ჩვენ კი ქონს ნაკლებად ვხმარობთ, ვინაიდან აქ საქართველოში რუსეთზე უფრო ცხელი თბილი ჰავა არის და ჩვენი ორგანიზმი იმდენ ქონს არ მოითხოვს. გარდა ამისა მიუთითა ბავშვების მოვლის დროს და სთქვა, რომ ბავშვი, როგორც სუსტი არსება თხოულობს განსაკუთრებით სისუფთავეს და სიზუსტეს ჰიგიენის დაცვას. ვინაიდან მას ეხლა შეუძლიან ხელიდან [illegible] ბავშვები, დედებს უფრო თავის გამო. მან საჭიროდ დაინახა მისცა ქალებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, რომ ოჯახი ჯანმრთელად შეინახონ.

ლექცია მოისმინეს ყურადღებით და ინტერესით, რის შემდეგ ქქომმა განაცხადა, რომ ასეთი ლექციები ძლიერ საჭიროა და საჭიროა ასეთების ცოდნა ყოველი მშრომელი ქალისათვის და მით უმეტეს ოჯახის ქალისათვის. მან დაპირდა შემდეგშიაც ასეთი ლექციების წაკითხვას დელეგატთა კრებებზე.

X.

ქ სამტრედია.

სამტრედიის რაიონი დიდი ხილის მოსავლის კუთხეა, საიდანაც იგზავნება აურაცხელი ხილი სხვა და სხვა ადგილებში, მას მოსდევს დიდი სიბინძურე, რის გამო შეუძლებელი ხდება ცხოვრება. ხოლერამ უკვე გაიდგა ფესვი და დღე არ გაივლის ისე, რომ მან ვინმე არ შეიწიროს, ადმინისტრაციულ ორგანოებსაც არ ესმისთ და ლეპულობენ თავისთავად ზომებს ხოლერის გადასარჩენათ ამ სენისაგან. სანიტარული კომისია, უკვე არსებობს, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს მაგრამ მოქალაქენი არ ეხმარებიან მას ამ მოვლენების აღმოფხვრაში, ამის გამო წინ ვერ მიდის და პარტკომის ინიციატივით მოიწვიეს ყრილობა, 24 ივლისიდან 31 ივლისამდე. აირჩიეს სანიტარულ კომისიის ახალი წევრები. კომისიამ გამოიმუშავა გეგმები და შესდგენ ბრძოლის მოქმედებას, ჩამოიარეს მთელი ქალაქი, დაათვალიერეს ეზოები, ბაზარი და სხვები, მოქალაქეებს უხსნიდენ ფართოდ ხოლერის საშიშროებას და მიუთითებდენ მასთან საბრძოლველ საშუალებებზე. დაინიშნა შაბათობა ოთხშაბათს 27 ივლისს რომელშიაც ფართო მონაწილეობა მიიღეს ამხ. წითელ არმიელებმაც. სულ შაბათობაში მიიღო მონაწილეობა 124 კაცმა და ქალმა, და კარგი შედეგიც გამოიღო. იმუშავეს სამი საათი და გაწმინდეს ნაწილი რკინის გზა, (10 ვერსი დაგვირთულ და კიდეც გადაცვალეს) მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ამხანაგები ჯერ კიდევ ვერ მიეჩვენ დისციპლინას დაცვას, რაც საჭიროა. საჭიროა დისციპლინის დაცვა, მისი აღრულება.

ხან კანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება 53.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა წისქვილის შემოსავლის დაბეგვრის შესახებ.

1. წისქვილის საერთო შემოსავლის, რომელსაც წისქვილის პატრონი მიიღებს ნატურად, დაადოს 15% რაოდენობის გადასახადი.

შენიშვნა: წისქვილის პატრონს და წისქვილის მოიჯარეს არა აქვს უფლება გადასახადები ნაწილობრივ შეუფასოს მეტი (ნატურად) 5 პროც. მეტ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიეცემა პასუხისგებაში საოპერაციო დროის კანონით.

2. ეს გადასახადი წისქვილის პატრონმა ყოველი საანგარიშო თვის დამლევისას უნდა მოიტანონ სასურსათო სახალხო კომისარიატის საბაზისო პუნქტში თავისი საშუალებით, თუ წისქვილი ამ პუნქტზე ათი ვერსის მანძილზე მეტად არ არის დაშორებული. ათი ვერსის მანძილზე მეტისთვის გადასახადის მიმტანს მიეცემა გადაზიდვის სასყიდელი.

3. წისქვილის პატრონი ან მოიჯარე მოვალეა ყოველი საანგარიშო თვის დამლევისას—ამის დღის ვადაზე წარუდგინოს სათანადო სამაზრო ან საქალაქო სასურსათო კომიტეტს წერილობითი განცხადება იმ თვეში მიღებულ შემოსავლის რაოდენობის შესახებ და ამასთანავე აღნიშნოს დრო და ადგილი 15 პროცენტი გადასახადის ჩაბარებისა.

4. ისეთი წისქვილის პატრონი, რომლის თვიური შემოსავალი (ნატურად) ხუთ ფუთს არ აღემატება,—თავისუფალია გადასახადისაგან.

5. წისქვილის პატრონისა ან მოიჯარის მიერ სამაზრო სასურსათო კომიტეტში შეტანილი განცხადება—წისქვილის ყოველთვიური შემოსავლის შესახებ შემოწმებული უნდა იყოს სათემო ან სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლის მიერ.

6. სამაზრო სასურსათო კომიტეტს უფლება აქვს შეამოწმოს სინამდვილე წისქვილის შემოსავლის რაოდენობისა და აგრეთვე რაოდენობა წისქვილის პატრონისათვის საჭირო ნორმისა. ასეთი შემოწმებისათვის სამაზრო სასურსათო კომიტეტს შეუძლიან წარმოგზავნოს ადგილობრივ თავისი აგენტი. ეს აგენტი, მისგანვე ადგილობრივ ცხოვრებათა შორის ამორჩეულ მცოდნე პირისა და სათემო ან სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტის ერთი წარმომადგენლის თანხლებით, განსაზღვრავს წისქვილის ყოველთვიური შემოსავლის ოდენობას, ამ წისქვილის პატრონისათვის სავალდებულოს. ამ შეფასების გამო გაწეული ყოველი ხარჯი გადახდება ადმინისტრაციულ წესით წისქვილის პატრონს, უკეთუ ხამოსახლიანში შემოსავლის ოდენობა აღმოჩნდება მოსავლის იმ რაოდენობაზე, რომელიც წისქვილის პატრონმა აჩვენა სამაზრო სასურსათო კომიტეტში შეტანილ თავის წერილობით განცხადებაში.

7. წისქვილის პატრონს უფლება აქვს ორი დღის ვადაზე დღიდან შემოსავლის გამოცხადებისა, შეიტანოს სამაზრო სასურსათო კომიტეტში საჩივარი, რომ მისი წისქვილის შემოსავლის საქმე სწორედ არ არის განსაზღვრული. სამაზრო სასურსათო კომიტეტის დადგენილება ამ საჩივრის გამო საბოლოოა.

8. წისქვილის პატრონი, რომელიც მისდის ფულად იღებს, მოვალეა გადასახადი ნატურად გაიღოს.

9. ის პირი, რომელიც ამ დადგენილებას დაარღვევს, მიეცემა პასუხისგებაში საპატიმროში წ ხაზე სარევოლიუციო დროის კანონით.

10. სასურსათო სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ამ დადგენილებისა განმარტებისა და განვითარებისათვის ცალკე ინსტრუქცია.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი; სასურსათო სახალხო კომისარი ნიკოლოზ ეჯიბაშვილი; რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ აგვ. 5
ტფ. სასახლე.

დეკრეტი № 63.

საქართველოს ს. ს. რ რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მუსულმან-მოსახლეობის საქმეთა საბჭოს დაარსების შესახებ.

რადგან საქართველოში მოსახლე მუსულმანთა ისტორიული, სოციალური და ყოფა-ცხოვრების პირობები თავისებური ხასიათისაა, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან „საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუსულმან მოსახლეობის საქმეთა საბჭო“.

2 საქართველოს ს. ს. რ. მუსულმან მოსახლეობის საქმეთა საბჭო შესდგება სამი პირისაგან, რომელთაც აირჩევს საქართველოს მუსლიმანთა მოსახლეობა და დანიშნავს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი.

3. მუსლიმან მოსახლეობის საქმეთა საბჭო შეიმუშავებს დეკრეტისა და დადგენილებათა პროექტებს და, სათანადო სახალხო კომისარიატების საშუალებით, წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს; დამტკიცებული დეკრეტები და დადგენილებანი გამოქვეყნდება საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარისა, სათანადო სახალხო კომისრისა და მუსლიმან მოსახლეობის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის ხელის მოწერით.

4. მუსლიმანთა შესახები პროექტები და წინადადებანი ადმინისტრატიული და სამეურნეო ხასიათისა მუსლიმან მოსახლეობის საქმეთა საბჭოს მიერ წარედგინება და ეკითხება სათანადო სახალხო კომისარიატისაგან.

5. უკეთუ სახალხო კომისარიატისა და მუსლიმან მოსახლეობის საქმეთა საბჭოს შორის შეთანხმება არ მოხდა რომელიმე საკითხის—შესახებ, ეს საკითხი გადასაწყვეტად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტში გადაიტანება.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომ. ბ. მდივანი. [illegible] სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ აგვისტოს 5.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 52.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ს. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანიზაციის შესახებ.

1. ეკონომიური ხასიათის სახალხო კომისარიატების მთელი სამეურნეო მოქმედება ხელმძღვანელობისა და შეთანხმებისათვის საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან დაარსდეს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

2. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე ბუდუ მდივანი (საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე), ხოლო წევრის უფლებით—სახალხო კომისარნი: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ფინანსთა, შრომისა, სასურსათოსი, მიწათმოქმედებისა და საგარეო ვაჭრობისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი.

3. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ეკონომიური ხასიათის დაევალებოდეს:

1) მთელი [illegible] რესპუბლიკისთვის მთლიანი სამეურნეო გეგმის შემუშავება.

(2) თვითეული სახალხო კომისარიატის სამეურნეო გეგმის დამტკიცება.

3) სახალხო კომისარიატებისათვის სპეციალური დირექტივების მიცემა ამა თუ იმ სამეურნეო საკითხის გამო.

4. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყოველი ბრძანება, დადგენილება და განკარგულება აღსრულებული უნდა იქნეს ყოველივე რიგის გარეშე და აუცილებლად ყველა უწყებისა, დაწესებულებისა, თანამდებობისა და კერძო პირის მიერ.

5. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს უფლება აქვს გააუქმოს, ან შეაჩეროს უმაღლესი სამეურნეო საბჭოს დადგენილება ან განკარგულება, როგორც რომელიმე სახალხო კომისრის პროტესტის გამო, აგრეთვე თავისი შეხედულებისამებრ.

6. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომები გაიმართება არა ნაკლებ ორისა თვეში.

7. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებობს სეკრეტარიატი, რომლის საშუალებითაც უნდა იქნეს შეტანილი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ყოველი მის მიერ განსახილველი საკითხი.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ტოროშელიძე. რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. აგვისტოს 5
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 51.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა საქართველოს მაზრიდან საზღვარგარედ ყველის გატანის აკრძალვის შესახებ.

1. ყველის გატანა—ვინაიდან უნდა—ბორჩალოს მაზრიდან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების გარეშე—აკრძალულ იქნეს.

2. დაწესებულება, ორგანიზაცია თუ კერძო პირი ამა დადგენილების დამრღვევისათვის—მიცემულ იქნეს სამართალში სასწრაფო წესით სარევოლიუციო დროის კანონისამებრ.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი. სასურსათო სახალხო კომისარი [illegible] მოადგილე ერქომაიშვილი. რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. აგვისტოს 5.
ტფილისი—სასახლე.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებს.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის № 5, დადგენილების ძალით მიმდინარე წლის 28 მარტის თარიღით ყოფილი „მუშათა მაგიდა“ გაუქმებულ იქნა და მუშა მოსამსახურეთა სურსათით მომარაგება ის საქმე გადაეცა სასურსათო სახალხო კომისარიატს, ხოლო მისი განყოფილებებს საქართველოს პროფესიონალური კავშირთა საბჭოს მომარაგების განყოფილების მონაწილეობით და მისი კონტროლის ქვეშ.

ამ რიგად ცხადია, რომ რაკი სურსათ სანოვაგის მომარაგებისა და განაწილების საქმე ჩამოშორებულია მუშათა უწყებისაგან, სურსათის მოთხოვნა და პროვიზიაზე დარიგება—განაწილებასთან დაკავშირებულ ყველა შესახებ საქმეთა ცნობები და დაინტერესებული პირნი უნდა ეცნობოდენ სასურსათო სახალხო კომისარიატში და საქართველოს პროფ-კავშირთა ცენტრ. საბჭოს მომარაგების განყოფილებაში.

მიუხედავათ ამისა მუშა-მოსამსახურენი და მრავალი დაწესებულება, განსაკუთრებით პროვინციისა, ასეთ საკითხებს გზავნიან შრომის სახალხო კომისარიატში, რაც იწვევს უსაქმოდ ზედმეტ მიწერ-მოწერას და უმიზნოდ აჭიანურებს საკითხის გამორკვევას.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება, რათა თქვენდამი რწმუნებულ დაწესებულებებით და მუშა-მოსამსახურეთ დღიდან მაინც სურსათ-სანოვაგის მომარაგება—განაწილების და მისი რეგულიარიზაციის შესახებ შეკითხვებით მიმართონ არა შრომის კომისარიატს, არამედ საქ. პროფ-კავშირთა ცენტრალურ საბჭოს მომარაგების განყოფილებას, ან თვით სასურსათო კომისარიატს.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე მიქაძე.

საქმეთა მმართ. მ. ბერიძიშვილი.

დედანთან სწორეა:

საქმის-მწარმოებ. მ. ფურცელაძე.

სავალდებულო დადგენილებანი

ქალაქის რევკომის სამმართველოს განყოფილებისა

1. ველოსიპედით სიარული, ველოსიპედით მოსიარულე ვალდებულია ქუჩის მარჯვენა მხარეზედ იაროს მანძილზე ცალკე შუა ქუჩაში გადასასვლელად არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადავიდეს ქუჩის მარცხენა ნახევარში.

2. სწრაფათ სიარული და ერთი მეორის გასწრება ჯარითობა აკრძალულია სასტიკათ.

3. ფეხით მიმავალთა და ეტლების მეორე და მეშვეულ ფილით მარცხენა მხრიდან.

4. ფეხით მიმავალ და ეტლების გასწორებისას წინდაწინ სათანადო ნიშანი ზარით უნდა მისცეს ისევ ნიშანი და ისევე ფეხით და ხელით უნდა გაიაროს.

6. ისეთ ალაგას, სადაც ბლომათაა დაგროვილი ხალხი, ველოსიპედით მოსიარულე უნდა ჩამოვიდეს და ხელით გაატაროს ველოსიპედი.

7. თუ რამოდენიმე კაცი მიდის ერთად ველოსიპედით ისინი მივალენი არიან მისდევდნენ ერთი მეორეს და არა ნაკლებ ერთი საჟენის მანძილზე ერთი მეორისაგან.

8. აკრძალულია ველოსიპედზე სიარული ან და ველოსიპედის ხელით ტარება ტროტუარზე, ფეხით მოსიარულეთა სავალ ბილიკებზე, ბულვარებში და ბაღებში.

9. ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით.

10. ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

11. ამ დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება დაევალოს ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციას.

მარიამობისთვის 4
1921 წ.

ეტლების და საბარგულების მოძრაობის შესახებ.

1. ა) მეეტლე ვალდებულია ატაროს ეტლი ქუჩის მარჯვენა გვერდით და საშუალო ნაბიჯით.

შენიშვნა: მეეტლეს არ ეკრძალება საშუალო ნაბიჯით გვერდით ჩამოიაროს ნელის ნაბიჯით მიმავალ ეტლებს, საბარგულებს, ურმებს და სხვ.

ბ) გასწრება ჯარითობა აკრძალულია სასტიკათ.

გ) ეზოდან ქუჩაში გასვლის, ერთი ქუჩიდან მეორეში გადასვლის დროს და ისეთ ადგილებში, სადაც დიდი მოძრაობაა—მეეტლე ვალდებულია ნელი ნაბიჯით გაატაროს ეტლი.

დ) დამართებზე, გზაჯვარედინებზე და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მის წინ ეტლი ან ფეხოსანი გადადის ქუჩის შუაკვეთ ცხენები.

ვ) მეეტლე ვალდებულია შესაფერ მილიციის განკარგულებანი და მოსახლეობისას მისცეს შესაფერი ნიშანი.

ვ) მეეტლე ვალდებულია გზა დაუთმოს ყოველგვარ პროცესიებს, ცეცხლის მქრობელ რაზმებს, მიმავალ ჯარის ნაწილებს და ტუშიების ჯგუფებს; თუ-გასავალი გზა ძალიან ვიწროა სრულიად შეჩერდეს.

2) ქუჩაში გაჩერებისას:

ა) მეეტლეები მოვალენი არიან გაჩერდენ იწყობით; ტროტუარის გასწვრივ, ოღონდ ხელი არ დაუშალონ ქუჩაში მიმოსვლას, ეზოდ ნიშნების და კარებთან გაჩერებას.

ბ) არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიატოვონ ცხენები.

გ) არ უნდა მიაბან ცხენები ელექტრონის ან ტელეფონის სვეტებს, ღობეებს, რიკულებს და სხვ.

3) თეატრების, რკინის გზის სადგურის წინ და საერთოთ ისეთ ადგილებში, სადაც [illegible] თავმოყრილი, [illegible] ჩერდენ იქ, სადაც მილიციონერი მიუთითებს.

4) საბარგულების, ურმების, ფურგონების და ქარავნის ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაიცვან შემდეგი წესები:

ა) ყოველ სამ საბარგულს, [illegible] და სხვა შუა დატოვონ ეტლისთვის გასავალი საკმარისი მანძილი.

ბ) ქარავანი უნდა მიდიოდეს მუდამ ნაბიჯით, მწკრივად და მხოლოდ ქუჩის მარჯვენა ნახევარში; ერთი მეორეს გადასწრება დაუშვებელია.

5. ეს დადგენილება ვრცელდება როგორც ბარგის მზიდველებზე და მებარგულებზე, აგრეთვე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი, კერძო დაწესებულებათა და პირების ეტლებზე.

6) ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯება ადმინისტრატიული წესით.

7) დადგენილება ძალაში შედის მის გამოქვეყნების დღიდან.

ნაგვის დაწვის შესახებ:

1. ნაგვის დაწვა ეზოში, ქუჩებში და მოედნებზე დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ნაგვის სხვა საშუალებით გადატანა, მასთან ნაგვის დაწვის დროს სავალდებულოა შემდეგი წესები:

ა) ქარიან დარში ნაგვის დაწვა აკრძალულია.

ბ) თუ ნაგვის დაწვის დროს [illegible] ვარდა ქარი ცეცხლი დაუყოვნებლივ უნდა დაიქროს.

გ) ნაგავი უნდა დაგროვდეს ცალკეცალკე გროვათ არა უმეტეს ერთი საჟენისა საფუძველში და ერთი მეორისაგან დაცილებული არა ნაკლებ 5 საჟენისა. [illegible]

დ) თუ 3 [illegible] აროვება დაწვავია ერთ [illegible], დაწვა უნდა ხდებოდეს სახლკომისიის მიერ დანიშნულ ან დაქირავებულ პირის განუწყვეტელ და უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, ვინც ზედამხედველობს ცეცხლის გაჩენის შემთხვევისათვის ხელთ უნდა ჰქონდეთ საკმარისათ წყალი ან სხვა და სხვა ცეცხლის საქრობი საშუალებანი.

ე) ნაგვის დაწვამ არ უნდა გასტანოს ღამის 9 ს. შემდეგ, რომ ღამით ნაცარში ცეცხლი არ დარჩეს.

2. სასტიკათ აკრძალულია ნაგვის დაწვა ხე-ტყის, თივის, ბამბის, ფართლეულობის და საწვავი მასალის ღია საწყობებში და აგრეთვე არა უახლოეს 10 საჟენისა ხის შენობებიდან.

3. სახლკომებს ევალება თვალ-ყური ადევნონ ამ დადგენილებას დაცვას.

4. ამ დადგენილების დამრღვევისათვის დამნაშავე იჯება ადმინისტრატიული წესით.

5. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანის თვალყურის დევნება ევალება ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციას.

ქალ. რევკომის სამმართველოს განყ. გამგე, პრეზიდიუმის წევრი

ი. ვაშაძეული.

ჩვენი ფოსტა

დ. ვაშაძეს: არ დაიბეჭდება. სწერეთ დღევანდელ მდგომარეობაზე.

კორესპონდენტების საყურადღებოთ: წერილები უნდა იყოს ცალ გვერდზე დაწერილი წინა ღდეგ შემთხვევაში არ დაიბეჭდება.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—ჩიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ლა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—ამახის ქუჩა.

— საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

ხარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

მიიღება დილის 10-დან 2 საათამდის.

სხვა და სხვა

დაკარგე

1) მოწმობა ხინის სასოფლო სამეურნეო კურსის დამთავრების, 2) მანდატი—მიღებული საქართველოს ახალგაზრდათა კომ. კავშირის ცენტრალური კომიტეტიდან; 3) მანდატი მიღებული ხონის რაიონის ახალგაზრდათა კომ. კავშირის პასუხისმგებელ მდივნისაგან და 4) პირადობის მოწმობა მიღებული განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საინსტრუქტორო ინსტიტუტიდან.

ყველა ზემოხსენებულ დოკუმენტებს დღიდან მის დაკარგვისა (5 აგვისტო) ვაცხადებ გაუქმებულად.

ვარლამ ნადარეიშვილი.

— სოფ. ლეშრუმის მცხოვრებმა (გორის მაზრა) ალექსანდრე ნიკოს ძე ჭანკვეტაძემ სად. ხაშურში დავკარგე რევოლვერის მოწმობა № 1852. რევკომის თავმჯდომარეობის მანდატი № 1854 და ფული 10,000 მანეთი რასაც ვაცხადებ გაუქმებულათ.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოიწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ. 3) მისი წილი მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ-ლის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.